

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო
მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ო კ მ ი № 70

ქ. ბათუმი

„02“ „მაისი“ 2022 წ.

სხდომას
ხელმძღვანელობდა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ----- ნუკრი დეკანაძე

სხდომას ესწრებოდნენ
საკონკურსო კომისიის
წევრები:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ----- რამაზ მამულაძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების უფროსი ----- ვახტანგ გედენიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ----- მამუკა დარჩია

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი ----- მირიან მეტრეველი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ----- კახა დიასამიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 09 თებერვლის „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე ღია და შიდა კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესახებ“ № ბ14.14220403 ბრძანების შესაბამისად, არსებულ 8 ვაკანტურ თანამდებობაზე ღია და შიდა კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის (14.04.2022) - ზეპირი დავალება / გასაუბრება შედეგების ცნობად მიღება და დამტკიცება.
2. კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით გამარჯვებულის გამოვლენა.

მოიხმინეს:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მიმდინარე წლის 14 აპრილს ჩატარებული, კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის - ზეპირი დავალება/გასაუბრების შედეგების შესახებ, რის საფუძველზეც დგინდება, რომ 8 ვაკანტურ პოზიციაზე მონაწილე 171 კანდიდატიდან (განაცხადიდან), კონკურსზე გამოცხადდა 43 კანდიდატი (განაცხადი), ხოლო არ გამოცხადდა 128 კანდიდატი (განაცხადი).

კომისიამ დაადგინა:

1. ცნობად იქნეს მიღებული და დამტკიცდეს 09.02.2022 წლის № 8 14.14220403 ბრძანებით გათვალისწინებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია და შიდა კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის - ზეპირი დავალება/გასაუბრება შედეგები, თანახმად დანართისა.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს შემდეგი ფონისძიებები:

ა) იმ კანდიდატებს, რომლებიც ღია და შიდა კონკურსის მეორე და მესამე ეტაპზე (ზეპირი დავალება/გასაუბრება) არ გამოცხადდნენ, ან კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით ვერ გამოვლინდნენ გამარჯვებულად, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით.

ბ) იმ კანდიდატებს, რომლებმაც ღია და შიდა კონკურსის მეორე და მესამე ეტაპზე (ზეპირი დავალება/გასაუბრება) წარმატებულად გადალახეს და კონკურსის საბოლოო შედეგებით გამოვლინდნენ გამარჯვებულად, შედეგები ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით, წინამდებარე ოქმის ოფიციალურად ძალაში შესვლისა და გამოქვეყნების შემდგომ.


გ) კანდიდატთა ინფორმირების მიზნით კომისიის გადაწყვეტილება - კომისიის სხდომის ოქმი და ოქმის დანართი განთავსდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.batumi.ge.

3. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები და შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომისიის თავმჯდომარე:  ნური დეკანიძე

კომისიის წევრები:

 რამაზ მამულაძე

 ვახტანგ გვედენიძე

 მამუკა დარჩია

 მირიან მეტრეველ

 კაზა დიასამიძე